ხელშეკრულება №83(ა)

ქ. ოზურგეთი

„2" ოქტომბერი 2012წ.

ერთის მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი", საიდენტიფიკაციო №237111594 შემდგომში „დამკვეთად" წოდებული) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „თა-კა-სი" საიდენტიფიკაციო №237111219, (შემდგომში „კონტრაქტორად" წოდებული), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები ასრულებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს:

1.1. „კონტრაქტორი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს სხვადასხვა სახის საკანცელარიო, სამეურნეო და მცირე ფასიანი საქონელი დამკვეთს,

1.2. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას ყოველი თვის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე უზრუნველყოს დაფინანსება 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. ანგარისწორების ფორმა, გრაფიკი და ადგილი

2.1. ანგარისწორების სახე -- უნაღდო.

2.2. მიმწოდებელთან ანგარისწორება განხორციელდება ლარებში.

2.3. ანგარისწორების ფორმა -- საგადასახადო დავალება.

2.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი ოზურგეთი.

2.4. „დამკვეთი" ვალდებულია შემსრულებელის ანგარიშზე გადარიცხოს 200 ლარი, წაღებული საქონლის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით.

კლასიფიკატორის კოდი 22800000,30100000 .

3. ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ხარისხიანი საქონლისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

დამკვეთს უფლება აქვს:

4.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

დამკვეთი ვალდებულია:

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის მოითხოვოს წაღებული საქონლის დამადასტურებელი საბუთი და კონტრაქტორს ჩაურიცხოს საქონლის ღირებულების მთლიანი თანხა. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

მიმწოდებელს უფლება აქვს:

4.3 მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობები.

5. საქონლის გადაცემა

5.1. საქონლისა და გაწეული მომსახურების მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიღებას ახორციელებს სათანადოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც აფორმებს მიღება ჩაბარების აქტს და დასტურდება დამკვეთისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დამკვეთი ახდენს ანგარისწორებას მიმწოდებელთან მიღებული საქონლისათვის.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა.) თუ ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
6.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
6.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.2. ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

8. გადაუდებელი აუცილებლობა

8.1. მხარეები არ არიან პასუხიმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, სხვადასხვა სტიქიური მოვლენებით, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძვლზე.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
10.3. დამკვეთს შეუძლია წარმოადგინოს პასუხისმგებელი პირი ყველა ჩასატარებელ ოპერაციაზე: ამბაკო გოგოტიშვილი, ტელ: 555 44-35-03

მხარეების დამფინანსებელი ბანკების რეკვიზიტები

„დამკვეთი"

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი"
ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ოზურგეთის ფილიალი
ბანკის კოდი **LBRTGE22**

ანგ. **№36080025123**

ს/კ **№237111594**

მის: ოზურგეთი, სოფ. გურიანთა

„კონტრაქტორი"
შ.პ.ს. „თა-კა-სი"
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ოზურგეთის ფილიალი
ბანკის კოდი **UGEBGE22643**
ანგ. **№GE37VT4300000014143602**
ს/კ 237111219
მის: ოზურგეთი, ა. წულაძის ქ. №10
ტელ: 790 177 343

„დამკვეთი": /ა. გოგოტიშვილი/

„კონტრაქტორი": /თ. სირაძე/